სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურა

1. ინსტიტუტის დებულების მე-7 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში: სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელის არჩევნები ტარდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს, განსაზღვრულ საათზე.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო (შემდგომში: სამეცნიერო საბჭო) თავის სხდომაზე განიხილავს ცალკეული სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის დროს. ამასთან, საბჭოს ერთ სხდომაზე განიხილება ერთი სტრუქტურული ერთეულის არჩევის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭოს მოქმედი წევრია პრეტენდენტი, ის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

4. კონკურსისა და არჩევნების ორგანიზების მიზნით სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ქმნის (არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრისაგან შემდგარი) სამდივნოს (ხმისდამთვლელ კომისიას) და ადგენს კანდიდატების რეგისტრაციის ვადებს.

5. სამეცნიერო საბჭოს მიერ შექმნილი სამდივნო (ხმისდამთვლელი კომისია) განიხილავს კანდიდატთა განცხადებებსა და წარმოდგენილ საბუთებს. კონკურსის სამდივნო (ხმისდამთვლელი კომისია) შედგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს იმ წევრებისაგან, რომლებიც კონკურში არ მონაწილეობენ, ინსტიტუტის სხვა მეცნიერების ან/და დამხმარე პერსონალისაგან, რომლებიც სამდივნოს (ხმისდამთვლელი კომისიის) ფუნქციების განხორციელებისას ექვემდებარებიან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს. კონკურსის სამდივნო (ხმისდამთვლელი კომისია) უზრუნველყოფს კონკურსის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

6. სამდივნო (ხმისდამთვლელი კომისია) კანდიდატურებს წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს, რომელიც კანდიდატურის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე, ირჩევს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძრვანელს ფარული კენჭისყრით.

7. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი ოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერცერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევნების პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

8. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე სამდივნოს (ხმისდამთვლელ კომისიას) საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

9. ზემოხსენებული პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები, მტკიცდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ და მისივე კორესპონდენციით ეგზავნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

8. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით იერარქიულად ზემდგომ ორგანოში ან შესაბამის სასამართლოში.